




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 16

2016 წელი 15 თებერვალი

ხაშური



ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლის 12-14 ნოემბერს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებზე ფულადი დახმარების გაცემის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლის 12-14 ნოემბერს მომხდარი სტიქიის შედეგად მოსახლეობის ინფრასტრუქტურას მიაღდა მნიშვნელოვანი ზიანი. დაიტბორა ხაშურში, დაბა სურამში და ხაშურის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში, მდინარე სურამულას მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა. ძლიერი ქარის შედეგად დაზიანდა მრავალბინიანი და ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინების სახურავები, რის გამოც საჭირო გახდა დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების გაწევა. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ იქნა ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლის 12-14 ნოემბერს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, დაზარალებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა. აღნიშნული პროგრამის შესაბამისად და მოქალაქეების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, მოქალაქეებზე სტიქიით მიყენებული ზიანის თანხის ჩარიცხვის მიზნით საჭიროა დამტკიცდეს სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშებები, რომლებიც შედგენილია ადგილზე შემოწმების აქტებისა და საბაზრო ღირებულებების მიხედვით წარმოდგენილ სამუშაოთა სახელმძღვანელო გაფასებების სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშების საფუძველზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 13 ნოემბრის №38 ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ ადგილზე შემოწმების აქტებისა და სახელმძღვანელოდ მიღებული სამუშაოთა გაფასებების საფუძველზე შედგენილი თანდართული სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშებები ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლის 12-14 ნოემბერს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებზე ფულადი დახმარების გაცემის მიზნით დანართი №1-ის შესაბამისად (დანართი თან ერთვის 50 ფურცლად);
2. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლის 12-14 ნოემბერს მომხდარი სტიქიის შედეგად იმ დაზარალებულ მოქალაქეთა რეესტრი, რომლებზეც ხორციელდება თანხის გაცემა (დანართი №2 თან ერთვის 3 ფურცლად);
3. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
4. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ხაშური, მ. კოსტავას ქ. №15).

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

